paysera

შეტყობინება სს „პეისერა ბანკი საქართველოს“ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ

სს “პეისერა ბანკი საქართველო“ (იურიდიული მისამართი ქ.თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი N4/2, საიდენტიფიკაციო ნომერი 402204841) გატყობინებთ, რომ სს „პეისერა ბანკი საქართველოს“ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება ჩატარდება 2023 წლის 17 ნოემბერს, თბილისის დროით 12:00სთ-ზე, შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი N4/2;

კრება ჩატარდება აქციონერთა უშუალოდ დასწრების ფორმით.

აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების სააღრიცხვო დღეა 2023 წლის 18 ოქტომბერი.

აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ იმ აქციონერებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს ირიცხებიან აქციონერებად.

<u>აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების დღის წესრიგი:</u>

1. **აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებაზე კენჭისყრის ფორმის განსაზღვრა**

სს „პეისერა ბანკი საქართველოს“ აქციონერთა რაოდენობიდან გამომდინარე, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი რეკომენდაციას აძლევს აქციონერთა კრებას, აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებაზე კენჭისყრა განხორციელდეს ღია კენჭისყრის ფორმით.

2. **აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მდივნის არჩევა**

სს „პეისერა ბანკი საქართველოს“ წესდების 7.1.7 ქვეპუნქტის თანახმად, აქციონერთა კრების მიერ არჩეულ უნდა იქნეს კრების მდივანი. სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი რეკომენდაციას აძლევს აქციონერთა კრებას, აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მდივნად არჩეულ იქნეს ივანე თევდორაშვილი.

3. **სს „პეისერა ბანკი საქართველოს“ სადამფუძნებლო შეთანხმებაში ცვლილების შეტანა;**

სს „პეისერა ბანკი საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი რეკომენდაციას აძლევს აქციონერთა კრებას, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოდენობით ბანკის საზედამხედველო კაპიტალის მოზიდვის მიზნით, მხარი დაუჭიროს სს „პეისერა ბანკი საქართველოს“ სადამფუძნებლო შეთანხმებაში ცვლილების შეტანას;

4. **შპს „პეისერა საქართველოს“ (ამჟამად სს “პეისერა ბანკი საქართველო“) პარტნიორთა 2022 წლის 19 აგვისტოს კრების დღის წესრიგის მე-6 და მე-10 საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა.**

სს „პეისერა ბანკი საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი რეკომენდაციას აძლევს აქციონერთა კრებას, აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით, მხარი დაუჭიროს შპს „პეისერა საქართველოს“ (ამჟამად სს “პეისერა ბანკი საქართველო“) პარტნიორთა 2022 წლის 19 აგვისტოს კრების დღის წესრიგის მე-6 და მე-10 საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანას.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ----------/ლაშა კახიშვილი/

გენერალური დირექტორი ----------/დიმიტრი ქუმსიშვილი/